წელიწადი 1-ლი    გაზ. ფასი 10 კ.    ტელეფონი № 76.    კვირა 11 ივნისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი-რად. 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
თვიურათ 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ.—და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის ლის 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა ... 2 საათ. 5 მ.
რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძის ს.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 51    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 51

ბაგრატ სიმონის ძე კურცხალია და მეუღლე მისი ოლღა დავითის ასული და შვილები მათი: ლიდა, თამარა ნინა და შალიკო და ელენა სიმონის ასული ტყეშელაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა მეგობართა და ნაცნობთა გარდაცვალებას: პირველნი, დაუვიწყარის ასულისა, მეორენი მოყვარულის დისა და მესამე ძმის წულის წმინდა ნინოს სასწავლებლის 7 კლასის მოწაფის

ქ ე თ ო,
ბ ა გ რ ა ტ კ უ რ ც ხ ა ლ ი ა ს ა ს უ ლ ი ს ა ს
გამოსვენება კვირას, 11 ივნისს, ნაშუადღევის 2 ს., ჰავჰავაძის ქუჩა. საკუთარი სახლიდან. დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე,

ელექტრო „ამპირ“ თეატრი
9 ივნისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება საუცხოვო სანახაობა
თავისუფლების დღესასწაული მომქმედ ჯარში
„ი ს“
ნაგრაუესკის რომანიდან 4 ნაწ. მონაწ. ბ. ი. რუტკოვსკი, ა. ვოლკოვი და მოროზოვი.
ანონსი: 12 ივნისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება
მიმდინარე ამბების ქრონიკა და საგულისხმიერო პროგრამა
მეუღლე თუ დედა?
1 სერია, დრამა 4 ნაწ. მონაწ. გერმანოვისა და სხვა.
ყურადღება! ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრის განყოფილება!

—ქ. ქ უ თ ა ი ს ი—
ამ დღეებში ქ. ქუთაისში
გამოვა
ორკვირ. წმინდა ს ა მ ხ ა ტ ვ რ ო
ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო
ჟ უ რ ნ ა ლ ი
„ს ი რ ი ნ ო ზ ი“
მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზრდა
მგოსან-ბელეტრისტები
მასალები მიიღება შემდეგი მისამართით: ქუთაისი „ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია ჟურნალ „სირინოზისათვის“
რედაქტორები: ლადო მაჭავარიანი.
ალ. ხარატაშვილი.

## ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის არჩევნების შესახებ.

### ქუთაისის მოქალაქენო!

კვირას 11 ივნისს ამა 1917 წლისა, მოხდება ქალ. ქუთაისის მცხოვრებთა ერთდღიური აღწერა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ასარჩევად საყოველთაოდ საარჩევნო უფლების საფუძვლით. საყოველთაო არჩევნები რომ განხორციელდეს და ყოველ მოქალაქეს შეძლება ექნეს მონაწილეობა მიიღოს ამ არჩევნებში, საჭიროა, რომ ამ დღეს (კვირას) ყოველი მოქალაქე სახლში დარჩეს ან თვითონ ან დატოვოს ოჯახის ისეთი წევრი, რომელსაც შეეძლება სწორი ცნობები მიაწოდოს რეგისტრატორს (ამწერელს) ოჯახის შემადგენლობის შესახებ. პირადი ბარათი (ქარტა) სდგება ოჯახის ყოველ წევრზე (განურჩევლად სქესისა), რომელიც ოცი წლის, ან მეტის იქნება, გარდა ბერ-მონაზვნებისა, ან ისეთ პირთა, რომელნიც კანონით ცნობილნი არიან შეშლილებად გიჟებად და ყრუ-მუნჯებად, ან რომელთაც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი აქვთ ისეთი სასჯელი, რაც ზღუდავს მათ უფლებრივ-ქონებრივად.

ქუთაისის ქალაქის საარჩევნო კომიტეტი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

ექიმი ვალერიანე მ. ღორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 10—2 საათ. და საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტემანსის სახლი

## დ ღ ე ს:

**წერილები:**

დ. გურული—რევოლუცია და ძველი კანონები.
dis—დღევანდელი ამბები.
მოქალაქე—ქალაქის მცხოვრებთა ერთდღიური აღწერა.
ს. ყიფიანი—კ. დადიშკელიანი და მისი ჩოხა-ახალუხი.
ლ. მაჭავარიანი—მხიარულ განცდით.

**ცნობები:**

მუშათა და ჯარისკაცთა ყრილობა. რევოლუციის ამბები. რუსეთი. უკრაინა. მსოფლიო ომი. ვაჟაფშაველას სახელობის ბიბლიოთეკის ჯარშემო. ახალი ამბავი.

ელექტრო „რ ა დ ი უ მ“ თეატრი
8 ივნისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება
ს ა მ ხ ე დ რ ო ქ რ ო ნ ი კ ა
ნ ი ნ ა
მხატვრული დრამა. 4 ნაწ. ბარანცევიჩისა და რასბანოვისა.
კომიკური. ძუნწი პრენსი.
ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!
ანონსი: 12 ივნისიდან ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი ბედნიერება არის თუ არა ძრიელი სიყვარულზე? კინო დრამა 5 ნაწ. მონაწ. მარია რუტცი, კ. ხოხლოვისა, ბ. რუტკოვსკი და დორონინი.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

ეროვნულ-დემოკრატიულ
პარტიაში ჩაწერა
შეიძლება ამავე პარტიის სალექციო დარბაზში (ვორონცოვის ქ. ოცხელის შენობა, ბაღის პირდაპირ) დილის 10—2 საათამდის და საღამოს 5—10 საათამდის და აგრეთვე
გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში
(თფილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახლი) დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

სატახტო-ქალაქის ცირკი ძმ. ეჟიმოვეპისა.
ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.

კვირას 11 ივანობისთვეს 1917 წ. გაიმართება გრანდიოზული 2 წარმოდგენა: დღისით სხვადასხვა გასართობებია გაწვრთნილი ცხოველები; ძაღლის გადმოფრენა ცირკის თაღიდან 13 არშინის სიმაღლიდან ძირს თავით. მონაწ. მთელი ცირკის დასი. წარმოდგენის დასაწყისი 1 საათზე.
ადგილის ფასები 5 შაურიდან 1 მანეთ ნახევრამდე. ლოჟა 6 მანეთი.
საღამოს გაიმართება გრანდიოზული სასპორტო ატლეტიური წარმოდგენა, უკანასკნელი გასტროლები განთქმული ბელგიელთა დასისა
5 კ ლ ი კ ე ტ ი
1 გამოსვლა მთელი ქვეყნის ჩემპიონის ქალისა ვახტუროვისა და ნიკოლოზ ვახტუროვისა განთქმულ მოჭიდავეს რომელიც ტრაღიკულად გადაიცვალა თბილისში. დღეს იჭიდავებს 3 წყვილი კავკასიურად. 1. წყვილი ტორთშელიძე, და ტერტერაშვილი ფრანგულათ 2. წყვილი ქალბატონი ვახტუროვი და ქალბატონი მანკო 3. წყვილი მეორეთ იჭიდავებს წითელი პირბადოსანი და ქალბატონი იანკოვსკაია წარმოდგენის დასაწყისი 8 ნახევარ საათზე. ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.
ანონსი. ამ დღეებში გაიმართება გრანდიოზული ბენეფისი განთქმულ ბელგიელთა დასისა.
5 კ ლ ი კ ე ტ ი

## რევოლუცია და ძველი კანონები.

რევოლუცია გრძელდება. ცხოვრება დიდათ რთულდება. წესიერებას და მშვიდობიანობას ნიადაგი ეცლება. რომელი მხარეც უნდა ავიღოთ ჩვენი ცხოვრებისა —ეკონომიური თუ პოლიტიკური,— სულ ერთია: ყველგან დიდ არევ დარევას ვხედავთ.

რა არის ამის მიზეზი? ის, რომ ცხოვრების ძველი კალაპოტი რევოლუციამ დაამსხვრია, ახალი წესწყობილება კი ჯერ ვერ დაგვიარსებია. და ადამიანთა საერთო ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია, თუ არ არის გამორკვეული რამდენათ შეზღუდული უნდა იყოს ადამიანის ნება, თუ არ არის ახსნილი და გაგებული ხალხში, რას ეწოდება კანონიერება და რას უკანონობა. ამ არევ დარევის დროს არ არის დაცული არც პიროვნება, არც ქონებრივი უფლება. როცა ამისთანა მდგომარეობა გართულდება და გაღრმავდება,—მოგვაგონებს იმ ბრბოთა „თავისუფლებას“, რომელსაც ვხედავთ ისტორიის პირველ ხანებში.

მაშასადამე, ცხადია, რომ საჭიროა ცხოვრების გზის აღნიშვნა, ცხოვრების მოწესრიგება,—საჭიროა **კანონი** მაგრამ, ამბობენ,—ეს კანონი რევოლუციის შემდეგ აღარ არისო. როდესაც გაზეთებში კითხულობ ხოლმე, თუ რა რიგათ არღვევენ ყოველნაირ ადამიანის უფლებას—პიროვნებას შეეხება იგი, თუ ნივთიერებას,—არც კი შეგიძლია სულიერი უკმაყოფილება და აღშფოთება გულახდილათ გამოაცხადო. მაშინვე წყრომით და თანაც დაცინვით მოგაძახებენ: „თქვენ გინდათ ახლა, რევოლუციის დროს, ძველ კანონებს ვემორჩილოთო!“

მართლა ტრაღიკული მდგომარეობაა. მაგრამ ნუ თუ ისტორია ვერ გვიჩვენებს, რა ნაირად მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? რასაკვირველია, ორი მომენტი - ძველის დანგრევა რევოლუციის ძალით და ახალის აგება ამ ნანგრევებზე—ისტორიაში არასოდეს შეერთებულა, ერთ და იმავე დროს არასოდეს მომხდარა. ჯერ რევოლუცია ძველს სპობს, მერე უნდა გავიდეს რამოდენიმე დრო, სანამ ახალი დაარსდებოდეს. არ ვიცით, როდის იქნება მოწვეული ჩვენი დამფუძნებელი კრება. და როდესაც მოწვეული იქნება, იმავე დღეს ახალ წესწყობილებას ხომ ვერ დაარსებს იგი! საფრანგეთში მესამე რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება ხუთწლიწადს გაგრძელდა. რუსეთის იურიდიულ პრესაში გამოითქვა ის აზრი, რომ ჩვენი დამფუძნებელი კრება გაგრძელდება არა ნაკლებ სამი წლისაო. რა ვქნათ მანამდი?

ისტორია გვიჩვენებს, თუ რა საფუძველზე მიმდინარეობს ცხოვრება, სანამ დამფუძნებელი კრება **ახალ კანონებს** გამოსცემდეს. ამას გვიჩვენებს თვით რევოლუციის აზრი და ხასიათიც, ამას გვასწავლის კანონმდებლობაც.

ჯერ უნდა ვიკითხოთ: რა ხასიათისაა ჩვენი რევოლუცია? სოციალურია იგი, თუ პოლიტიკური?

მართალია, ბევრ ექსცესებს ვხედავთ კერძო საკუთრების ნიადაგზე, ბევრი რბევა-გლეჯა ხდება კერძო მეურნეობაში,—მაგრამ ყველასთვის ცხადია, რომ ძირითადი აზრი ამ რევოლუციისა **პოლიტიკურია.**

მაშასადამე, აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ რევოლუციამ მოსპო პოლიტიკური წეს-წყობილება, მოსპო სახელმწიფოს ძირითადი კანონები (основные законы), ის კანონები, რომელნიც არკვევდენ რუსეთის სახელმწიფო წყობილებას, მეფის უფლებათა ნორმებს, განამტკიცებდენ იმას, რასაც მეფის უფლების პრეროგატივებს უწოდებდენ (прерогативы царской власти).

რაც შეეხება სხვა კანონებს—სამოქალაქოს, სისხლის სამართლისას და სხ.,—იგინი ძალაში დარჩენ: რევოლუციას იგინი არ მოუსპია.

აქედან, მაშასადამე, შემდეგი უმთავრესი იურიდიული დებულება უნდა გამოვიყვანოთ: მოსპობილია მარტო სახელმწიფოს ძირითადი კანონები (основные законы). დანარჩენი კანონები არსებობენ ახლაც, თუ კი იგინი არ არიან შეცვლილნი ან სრულიად გაუქმებულნი დროებითი მთავრობის განკარგულებით.

ეს კი ასეა, მაგრამ საზოგადოების ერთი ნაწილი თავისას მაინც არ იშლის. და არ იშლის არა მარტო იმი-

ტომ, რომ იგი რბევა-რღვევის ფსიხოლოგიით იყოს გატაცებული, არამედ უფრო იმიტომ, რომ ჰგონია, ვითომც ამას მოითხოვდეს რევოლუციის აზრი და ხასიათი.

მაშასადამე, საჭიროა გავაგებინოთ ხალხს, თუ რა ცვლილება უნდა შემოიტანოს ცხოვრებაში რევოლუციამ. რასაკვირველია, ეს, პრესის გარდა, დროებითი მთავრობის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს.

დ. გურული.

## ქალაქის მცხოვრებთა ერთ-დღიური აღწერა.

დღეს ჩვენს ქალაქში მოხდება მცხოვრებთა ერთ-დღიური აღწერა.

როდესაც ძველი რეჟიმის მთავრობა განიზრახავდა, მცხოვრებთა რიცხვი ცნობაში მოეყვანა, ხალხი ყოვლის ღონისძიებით აღწერას გაურბოდა. იგი ფიქრობდა, მთავრობას უნდა ახალი გადასახადი გამოიგონოს ხალხის დასაბეგრავადო.

ახლა ქუთაისის მოქალაქეთ ამისთანა აზრი უნდა მიატოვონ. დღევანდელ აღწერას სულ სხვა მიზანი აქვს. მოგეხსენებათ, ამ მოკლე დროში ხმოსნების არჩევნები დაიწყება. ეს არჩევნები არ მოხდება, თუ წინასწარ მცხოვრებთა რიცხვი ცნობაში არ იქმნა მოყვანილი. ამ აღწერაში ქუთაისის ყოველი მცხოვრები არ შევა, არამედ მარტო ის, ვინც ოცი წლის ნაკლები არაა, ქალი იყოს იგი თუ კაცი. ეს იმიტომ, რომ ახალი წესდების ძალით არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას ყოველი ქალაქის მცხოვრები, ვინც კი ოცი წლის ნაკლები არაა.

როდესაც ეს აღწერა შესრულდება, შემდეგ ქალაქის გამგეობა (управа) შეადგენს ამომრჩეველთა სიას (избирательный по городу списокъ) ამ სიაზე იქნება დამყარებული ქალაქის არჩევნები. აქედან ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს დღევანდელს მცხოვრებთა აღწერას. ვისაც თავისი მოქალაქეობრივი უფლების დაცვა უნდა, საჭიროა ამ აღწერაში გამორჩენილი არ დარჩეს.

სამწუხაროთ, გაზეთებში არ იყო გამოქვეყნებული, თუ რა წესით იქნება აღწერა. ნათქვამია მხოლოდ რომ ქალაქი ცხრა უბნათ (რაიონებათ) არის დაყოფილი. ამ რაიონებში თავთავისი აღმწერი არის. იგინი, როგორც ჩვენ შევიტყვეთ, ჩამოითვლიან მოსახლეებს, სადგურებს და სხვა ადგილებს, სადაც ვინმე კი ცხოვრობს, და ყველას სიაში შეიტანენ, რასაკვირველია, თუ 20 წლის ნაკლები არაა.

სარწმუნოებას მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ახალი კანონის ძალით სარწმუნოება—რომელიც უნდა იყოს იგი—არავის უფლებას არ ართმევს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

ვურჩევთ მოქალაქეთ—თავისი სამოქალაქო უფლება არ დაჰკარგონ.

მოქალაქე.

## დღევანდელი ამბები

მოვლენებმა სტიქიური ხასიათი მიიღეს ხალხი „გალიზიანდა“ და თავის პირად სურვილებს ამჟღავნ-ახორციელებს.

რევოლუციის ცეცხლში იფერფლება ძველი ცხოვრების კედლები მოკლე დროში დანგრეულ დუხჭირ წესწყობილების ნაშთებიც აღარ იქნება. გადანგრევ-გადმონგრევის მომენტი ჩქარობს და განაჩენის წაუკითხავად ერთი გაბრძოლებით სპობს საუკუნოებით გამოჭედილ სახელმწიფურ ფუძეს.

გაწმენდის ქარიშხალი დაჰქრის და აფორიაქებს ძველ მდგომარეობას,

სიწყნარე, მორიდება შიში დიდი ხანია ჩაინთქა ტეხის წიაღში. აწ ყეელამ ენა ამოიდგა თავის მრწამსი მზეს აჩვენა და მედიდურათ მიდის „აღთქმის ქვეყნისკენ“.

როგორი პირობები წარმოიშვა სახელმწიფურ ცხოვრებისთვის?

საერთო დარღვევას, დაშლის განამზადი.

ხალხმა იგემა თავისუფლება და სახელმწიფოს საერთო ინტერესით შეუთანხმებელ მოქმედებას შეუდგა სხვა სიტყვებით — ამ მოვლენას ანარქია ეწოდება.

დიდი რუსეთი ანარქიის შავსამოსელში ეხვევა. უპასუხოს მგზებლო პერიოდია უპატრონო მდგომარეობა. რომელიც რევოლუციასაც და სახელმწიფოს თვით არსებობასაც სიკვდილს უქადის.

რუსის ხალხმა რევოლუციურ ქარტეხილს საკუთარი ჯეროვანი აზროვნება ვერ შეახვედრა.

თავ-აშვებულ მრისხანე მოვლენებს ჩარჩოები ვერ შეუკრა.

1825 წ. დეკაბრისტები დასავლეთ „ევროპის“ იდეალებით უპირებდენ შავბნელ თვითმყრობელობის გადაგდებას. დიდად იმათგან არც აწინდელ რევოლუციონერებს შორის განსხვავდებიან.

ერთნი მოითხოვენ უცებ ბიუროკრატიულ ქვეყნის უკიდურეს დემოკრატიზაციას. მეორენი ლეწენ, ანგრევენ. ძარცვავენ... ასეთ მიმდინარეობაში, აშკარაა ახალ ცხოვრების საძირკვლის ჩაყრა გაჭირდება. რა უნდა გაკეთდეს იმ დროს როდესაც ქალაქები ცალკე მთავრობებს იარსებენ, ჯარი თავის პირდაპირ დანიშნულებას თავს ანებებს. მილიციები ქალაქებს ემუქრებიან (პეტროგრადს), მუშები შრომის ისეთ ფასს თხოულობენ რომ ლისგამოც წარმოება ჩერდება. შეძლებული კლასები სახელმწიფოს მატერიალურად უზრუნველ ყოფას გაურბიან ფინანსიური კრიზისი დღითი დღე მწვავდება.

რა უნდა გაკეთდეს იმ დროს, როდესაც ყველას თავისებურად ესმის რევოლუცია და მისი დაგვირგვინების საჭიროება? ადამიანები უნდა იყვნენ ზე შეძლებისა და ნიჭისა, რომ ასეთ ჟამს სახელმწიფოს ბორბალი ხწორად აბრუნონ.

ბუნებამ არ იცის ყოველ მხრივ მიზანშეწონით მომქმედი ადამიანები, მუდამ ჟამს საჭირო ენერგიით და ნიჭით დასაჩუქრებულნი დიდ მოღვაწეს, ხალხის საყვარელთ, არ შეიძლება იმავე დროს თავის დეფექტები არ ჰქონდეს. დეფექტები მაშინ არის საშიში, როდესაც კაცი სახელმწიფო საქვეყნო საქმეს კისრულობს ისიც ქაოტიურ დროში. წერეთლებს უსაყვედურებენ, რომ მათ სახელმწიფო მოღვაწეობის არ ესმით რა, ისინი უფრო მეტს მოქმედებენ შორეულ, მიზან-შეუფერებელ იდეალების გასამარჯვებლათ, ვიდრე ქვეყნის დღევანდელ უმწევობაზე. კერენსკებსაც ყოველ მხრივ არ შეუძლიათ დაფასება მოახდინონ და სამართლიანობის პრინციპი უჩვენონ ყველას.

კერენსკები ემუქრებიან არამპყრობელ ხალხთი ეროვნულ ალტინებას ხოლო ამავე დროს ვერას აწყობენ იმის წინააღმდეგ, რომ თვითონ ჭეშმარიტი რუსის ხალხს ღუპავს რუსეთს. ლენინელები, ბოლშევიკები, და ანარქისტები დიდი უმრავლესობით რუსები არიან.

რათ ურისხდებიან კერენსკები არა რუს ეროვნებათა? თურმე იმიტომ, რომ ამხანათ მათის (პატარა ერების) გამოსვლის დრო არ არის. ჩვენ ამ ახსნაში ჭეშმარიტების განქრობას და სრულ ულოღიკობას ვხედავთ. რევოლუცია შემოქმედებაა რევოლუცია ახალის აშენებაა.

თვითმყრობელობის დროს არარუს ერებს დაერღვათ საკუთარი ცხოვრება და ბორკილებში ჩაცვინდენ. დრომ წინანდელი შებოჭვილი ყოფა ნაცრათ აქცია, ყველა თავისუფლათ აამეტყველა.

არარუს ეროვნებათ არა აქვთ უფლება შემოქმედებას შეუდგენ?

რის ძალით?

არა რუსმა ეროვნებებმა რევოლუციურ შემოქმედების პროცესში თავის ცხოვრების მოწყობა რომ არ დაიწყონ ეს მათ შეუგნებლობას და ცოცხალ გვამობას დაამტკიცებდა.

ეროვნული მისწრაფების დაბრკოლება სამართლიანობის მეფობის დროს არავის შეუძლია.

რევოლუციის შემოქმედება მაშინ ხდება შესაძლო, როდესაც საერთო სამართლიანობის **ხაზი** გაიყვანება, ნაყოფი თანასწორათ იქნება გაყოფილი.

რუსეთში ასე არ მოხდა. „ტეხის“ ბურუსში უმრავლესობას გზა აებნა. გოდოლის აშენებლების ამბავი წარმოგვიდგა, ერთი მოითხოვს უკიდურეს დემოკრატიზაციას, მეორე დარღვევას, მესამე ბოჭავს ელემენტარ სამართლიანობას.

სახელმწიფო ირღვევა, და იშლება.

იქ სადაც იდევნებიან სამართლიანი მისწრაფებანი გამარჯვებას ზეიმობს ბნელი ინსტინქტები, რომელიც რევოლუციას სიკვდილის განაჩენს უმზადებს.

ასეთია დღევანდელი ამბები.

dis.

## ახალი ამბავი

✦ ქალაქის მცხოვრებთა საგულისხმოთ დღეს მოხდება ქალაქის მცხოვრებთა ერთ დღიური აღწერა. ვინც დღევანდელ აღწერის სიაში არ იქნება შეტანილი, იგი ქალაქის არჩევნებში ხმას ჰკარგავს ამისათვის საჭიროა ყველა მცხოვრებნი ამ წერლებს სახლში დაუხვდენ და ჩაეწერონ საარჩევნო სიაში.

✦ ნიკო ნიკოლაძის წიგნი. პეტროგრადში გამოვიდა ნიკო ნიკოლაძის ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

Переговоры священной дружины съ партiей „Народной Воли“ 1882 г. სასულიერო დრუჟინის მოლაპარაკება „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიასთან. წიგნის ფასია 60 კაპ.

✦ სამხედრო ბეგარა. თეთრი ბილეთიანები, რომელთაც კენჭი ამოიღეს 1916—1906 წ. და 1907 წ., ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის დადგენილებით ჯარში იქნებიან გაწვეულნი.

✦ სადამოს შემოსავალი. 27 მაისს ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში ბ. ბ. შ. ბოჭორიშვილმა, ი. აბაშიძემ, ტ. ბაქრაძემ და პ. ცხაკაიამ გამართეს ინტერნაციონალი საღამო ქუთაისში მომქედ ქართულ პოლიტიკურ პარტიების სასარგებლოთ. საღამოს შემოსავლიდან სხვათაშორის ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას გადმოსცეს 453 მ. და 13 კაპ. ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი უგულითადეს მადლობას უძღვნის საღამოს მომწყობთ.

✦ კონფერენციის გახსნა. გუშინ თბილისში გაიხსნა სოციალ დემოკრატიული პარტიის კონფერენცია.

✦ ქართული სახელმძღვანელოები. სკოლის გაქართულების გამო ქ. შ. წ. გ. ს. უკვე შეუდგა სხვადასხვა სახელმძღვანელოს ქართ. ენაზე დაბეჭდვას.

✦ ქურდობა. ქუთაისში მეტად მოიკიდა ფეხი ქურდობამ. 9 ივნისს კაზაკოვის ქუჩაზე გაქურდეს ოდიშარიას ბინა, საიდანაც წაიღეს სხვადასხვა ავეჯეულობა.

✦ არჩევნების გარშემო. ალმ. კომიტეტის საარჩევნო კომისია, სთხოვს ქალაქის მცხოვრებთ, რომ დღეს რადგან აღწერაა, სახლში იყვენ. ქალაქი დაყოფილია 9 რაიონათ და რაიონი 5 ნაწილათ. სულ 56 ნაწილია. 1 რაიონში არჩეულია მიხ. აბულაძე, 2-ში ვ. არდიშვილი, 3-ში ს. გეგელაშვილი 4-ში ი. პურადაშვილი, 5-ში ა. კრინიცკი, 6-ში სოკოლოვსკი, 7-ში გერ. ცაგარეიშვილი 8-ში ა. ი. ჯაფარიძე და მე-9 უბანში ნ. გრიგოლია.

✦ შემოწირულება სასტ. და საეთნოგ. საზ. სვანეთის მთავრის, კონსტანტინე დადიშქელიანის ქალიშვილმა, ჯვებე დადიანის კნეინამ, ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმს შემოსწირა მხატვრული სურათი მთავრისა და ის ჩოხა ახალუხი, რომელშიაც თავისუფლების და მამულის მოყვარე მთავარი დახვრიტეს. ჩოხა ძლიერ დამოკლებულია და სირმები აქა იქ აგლეჯილი აქვს, იგი თეთრი მეშისაა და უკანა კალთაც გამოხეული აქვს. ახალუხი კარგათ შენახულა, ტყვიებით არის დაცხრილული და სისხლის წვეთები კარგათ აჩნია.

ამ ნაშთის შეწირვისათვის დადიანის კნეინა მადლობის ღირსია.

✦ სომხების საპარტიათაშორისო კრებები ამ ბოლო ხანს შეიკრიბა იმათითვე სომხების ეროვნულ ყრილობის მოწვევის შესახებ. გადაწყვეტილია საერთო / არჩევნები ყველგან მკათათვის 23 ს დაინიშნოს. ყრილობა თბილისში მოხდება მკათათვის 20-ში. ყრილობის პროგრამამაც უკვე შემუშავებულია. პროგრამას ყრილობავე დაამტკიცებს. შედგენილია საარჩევნო ოლქების სიაც.

✦ პროგრამა ასეთია: 1) დამოკიდებულება თანამედროვე მომენტთან დროებით მთავრობასთან და 2) რუსეთის მომავალი პოლიტიკური წეს-წყობილება. 3) ამიერ კავკასიის მომავალი პოლიტიკური წესწყობილება და მისი კავშირი რუსეთთან. 4) უმცირესობის უფლებანი. 5) მიწის საკითხი. გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა. 6) ადგილობრივი ენა სახელმწიფო სამმართველოებში., 7) სასკოლო საკითხები (მთავრობის სკოლების ნაციონალიზაცია, ეროვნული სკოლები, ლაზარევის ინსტიტუტი), 8) ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთ ურთი დამოკიდებულებანი.

✦ ავადმყოფობა. 1 ივნისიდან 8 ივნისამდე ავად გახდა: სახადით 8 გარდაიცვალა 2, მუცელათი 4, მოკვდა 1, ტიფით 3—გარდაიცვალა!

### პროვინცია.

✦ ბათომი. 11 ივნისს ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გ. ს. ბათომის განყოფილების წევრთა წლიური საერთო კრება. განსახილველია გასული წლის ხარჯთაღრიცხვა და სხვა კითხვები.

✦ დ. ქვირილა. 19 ივნის აქ მოხდება შორაპნის მაზრის სამღვდელოების ყრილობა.

✦ დ. ახალსენაკი. ივნისს ადგილობრივ მომრიგებელ სასამართლოს დარბაზში შესდგა ქუთაისის სამოსამართლო ოლქის სასამართლოების და განყოფილებათა დელეგატების კრება, რომლის საგანს შეადგენდა ამ დაწესებულებებთა მოსამსახურეების ნივთიერ და უფლებრივ მდგომარეობათა გაუმჯობესება; კრებამ იქონია ჯეროვანი მსჯელობა და გამოიტანა სათანადო რეზოლუციები, შემდეგ აირჩია პრეზიდიუმი შემდეგის პირებისაგან: 1) ი. ნ. გვათუა, 2). გ. ა. თურქია, და 3) თ. გ. გუგუშვილი, რომელთაც კრებამ სხვათა შორის, მიანდო დადგენილ რეზოლუციების სისრულეში მოყვანა.

დასასრულ გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშები მინისტრთა თავმჯდომარეს თ-ს ლვოვს და იუსტიციის მინისტრს პერევერზევს

### კავკასიის ქრონიკა.

ქურთებზე თავდასხმა.

✦ როგორც თბილისში ატყობინებენ სომხეთა რაზმი (მე 4 ბატალიონი) ბერკრიკალაში თავს დასხმია ქურთებს და დაურბევია. ამის გამო ამიერ კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტ. საგანგებო კომისია გაგზავნა ადგილობრივ საქმის გამოსაძიებლათ.

## საკვირაო საუბარი.

### კონსტანტინე დადიშკელიანი და მისი ჩოხა-ახალუხი.

> ახლანდელ და ძველი ჩოხა ჩოხოსნები. რას მოგვაგონებს თავისუფლების სისხლის ჩვენს მეფე-დედოფლებზე და მთავრებზე ნადირობა. მარიამ დედოფლის და დადიშქელიანის ხანჯლები. აკაკის „ხანჯალი“.

ბევრი იყო და ახლაც საკმაოდაა ჩვენში ჩოხა-ახალუხი, მაგრამ ასეთ ჩვეულებრივ ტანისამოსზე საუბარი არც ჩვენ და არც ჩვენს მკითხველებს ამ ჟამად არ გვაინტერესებს; ბევრი გვყავს ჩოხოსნებიც, მაგრამ არც იმათი ახლანდელი სულის კვეთება და გამოურკვეველი, შიშით შეპყრობილი ორჭოფა მოქმედება ღირს იმად, რომ მკითხველის ყურადღების საგნად გავხადოთ.

დადიშკელიანი და მისი ჩოხა-ახალუხი კი ორნაირად არის საინტერესო: 1) ამ ჩოხა-ახალოხის მატარებელი დადიშკელიანი განხორციელებული ემბლემა იყო ქართული სულის სიმაღლისა და თავგანწირულებისა, როცა იმის ყოფნა არყოფნის საკითხი დაისმის ხოლმე. ეს ქართველი ჩოხოსანი ახლანდელს არა ჰგახდა, ახლანდელს ჩოხოსანს, რომელიც ძველი რეჟიმის პრისტავთან ქედმოხრილი იდგა და ყოველს შეურაცხსაყოფელ სიტყვას მოწიწებით ისმენდა, ხელის შეხებას კი არა, სიტყვის შებრუნებასაც ვერ უბედავდა; არ ჰგავდა ახლანდელს ჩოხოსანს, რომელიც პარტიების გამოგზავნილ „მოქალაქე ბლუზიანების“ წინაშე, შიშით შეპყრობილი, ქვის სვეტივითა სდგას და ვერ გაუმხელია, რა მოსწონს მისი ქადაგებისაგან და რასა სწუნობს. 2) ეს ნაშთი ტანისამოსი თვალწინ გვიყენებს საშვილიშვილოდ დაუვიწყარს ვერაგობას ჩვენში ახლად ფეხმოდგმული რუსის მთავრობისას.

დადიშკელიანის ჩოხა-ახალუხი, რომელიც მისმა ქალიშვილმა, ჯვებე დადიანის მეუღლემ ეტნოგრაფიულ საზოგადოებას გადასცა დასაცავად, ტყვიებითაა დაცხრილული და აქა-იქ კიდევ აჩნია სისხლის წვეთები წვეთები იმ სისხლისა, რომელიც უსამართლო სამხედრო სამსაჯულომ თავისუფლებისათვის მებრძოლს, ქუთ. გუბერნატორის გამფატვრელს, დადიშკელიანს დააღვრევინა.

ამ სამსაჯულოს აჩქარებას და უფრო კი სულწასულობას ხალხის ხმა „დადიშკელიანის ლექსში“ ასე გვიხატავს:

მეფის ნებაც არ ითხოვეს,
უცბად ჯავრი იყარესო:
„ცოლშვილსაც აღარ ვაჩვენებთ —
ტყვილა ნუ დაიბარებსო!“
გალმა-სილას გაიყვანეს,
ფეხი აუკრეს ძალზედა,
თორმეტი თოფი ესროლეს,
რბილი დაგლიჯეს ძვალზედა.

ასეთი მკაცრი სასჯელის სურათი ჯერ კიდევ არ ამოშლილა ხალხის მეხსიერებიდან და დღეიდან კი ქუთაისის საეტნოგრაფიო და საისტორიო მუზეუმში დაცული ნაშთი იგი შემდეგს ჩვენს შთამომავლობას გაახსენებს, რად ღირებულა თავისუფლება და რას ჩაადენინებს უსამართლობა შეგნებულს ქართველს, როცა მას აკვნიდან და საფლავიდან გლეჯენ, როცა მას სამშობლო ცისა და ქვეყნის სიმშვენიერით ტკბობას უსპობენ.

რას ემართლებოდენ და ვინ ემართლებოდა სვანეთის მთავარს, კონსტანტინე დადიშკელიანს, რომელიც საქართველოს მივარდნილ კუთხეში ცხოვრობდა და არც შინაურს და არც გარეშეს არაფრით არ აწუხებდა?

იმას ემართლებოდენ და ისინი -რასაც და რომელნიც ქართლ-კახეთის მეფის შვილებსა და მათ ოჯახობას, მეფე სოლომონ მეორესა და მისს ოჯახობას, რომელნიც შემოდგომის ფოთლებივით შვილიან-ძირიანათ მიყარ-მოყარეს, მიაბნმოაბნიეს და არც ერთს მათგანს ნება არ მისცეს, თავის სამშობლო ცის ქვეშ სული განეტევებიათ და თვალნი თვისნი დაეხუჭათ.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი შეიქნა ჩვენი ქვეყნის დანგრევის სათავედ. რუსეთის მთავრობამ გენერალი ციციანოვი გამოგზავნა საქართველოში რუსეთის რეჟიმის და ბატონობის განსამტკიცებლად. ეს კაცი ნიჭიერი, მაგრამ საშინელი ვერაგი გადაგვარებული ქართველი გამოდგა: ოღონდ თვისი მართებლობისათვის ესიამოვნებია და ქართველობა თუნდ დედა მიწის ზურგიდან აღგვილიყო.

შეადგინა პროექტი, რომლის ძალითაც მეფეთა და ბატონიშვილთა სახლობა და შვილები ერთიც აღარ დარჩენილიყო საქართველოში, რათა, მისი აზრით, ჩვენში მშვიდობა დამყარებულიყო. ეს პროექტი უმაღლესად დამტკიცდა პეტერბურგს, და ციციანოვმა და მისმა თანაშემწე გენერლებმა და მართველებმა მისს აღსრულებას ბეჯითად და სისწრაფვით მოჰკიდეს ხელი.

შეიქნა პირწავარდნილი ნადირობა. ნადირთა მდგომარეობაში ჩავარდა ყოველი წევრი მეფეთა და მთავართა გვარეულობისა ამერეთ-იმერეთში: სად და სად არ დაძრწოდენ ფეხავარდნილნი, რომ თავი შეეფარებინათ და გაციმბირებას და სამშობლოდან გაძევებას ასცილებოდენ: ზოგი სპარსეთს და ზოგი ოსმალეთს გარბოდა, ზოგი მთებში და მთიელებში იმალავდა თავს.

პირველად მიზანში გიორგი მეფის ქვრივი, მარიამ დედოფალი, ამოიღეს დიპლომატი მონადირეებმა: 18 აპრილს 1803 წელს, ციციანოვის ბრძანებისამებრ, ღენერალი ლაზარევი რამდენიმე აფიცრის თანხლებით დედოფლის საწოლ ოთახში შევიდა, რათა ძალათ გამოეყვანა და რუსეთს გაეგზავნა. განრისხებული დედოფალი უარზე იდგა. ლაზარევი ტახტს მიუახლოვდა ძალად ჩამოსაყვანად. ასეთი კადნიერება და უზდელობა დედოფალმა ვერ მოითმინა და მჭრელი ხანჯლით ვერაგ ღენერალს გული გაუგმირა.

არავის ეგონა, თუ დედოფალს არ ჩამოარჩობდენ, მაგრამ ციციანოვმაც კი იგრძნო ღენერლის დიდი სჯულგადამავალობის სიმწვავე, და ასე დედოფალი სიკვდილს გადარჩა, მაგრამ სამშობლოს მაინც გამოათხოვეს: განდევნილმა დედოფალმა სადღაც, რუსეთში, ბელგოროდის მონასტერში განუტევა დოობლებული და დატანჯული სული.

ახლა ნადირობისა და დევნის ჯერი იმერეთზე მიდგა.

აქ იმერეთის ვეფხი, მეფე სოლომონი-უნდა გაებათ ხაფანგში:

ათას ნაირი მოტყუებით და დაპირებით სოლომონ მეორე სურამის სოფ. შეკამს მიიწვიეს, იქიდან გორს, ვარიანს, მერმე თბილისს და აქ კი „სახელოვანი ტყვე“ უკვე დააპატიმრეს. გადალახა მართებლობის ყოველი სასტიკი ზომები და 11 მაისს 1810 წელს მეფემ თავისს ოთახის ყურეში მიაგდო ორდენი ალექსანდრე ნეველისა მონარქის წყალობის შეურაცხსაყოფლად, თბილისიდან გაიპარა და „თრიალეთის კერძო“ გაუდგა.

ბევრი ზომები მიიღეს, რომ იმერეთში აღარ დაბრუნებულიყო სოლომონი.

აბა ჩავყვეთ ქვეით და ნახავთ, რა ნაირად დასდევდენ სოლომონს!

ტორმოსოვის განკარგულებით, „კაცი უმეცარი და მზგავსი პირუტყვისა“, ვილაც ორბელიანი გაიგზავნა იმერეთს, რათა იმერელთა წინააღმდეგ აემხედრებია სამეგრელოს და გურიის მთავრები.

ამასთანავე აჯანყებულ იმერთა შესახებ „პირუტყვმა ორბელიანმა გამოსცა

მოყვანილი ფაქტებით სთქვა წერეთელმა, სისწორეს მოკლებულიაო. რუსეთი დიდს პროტესტს აცხადებდა საბერძნეთში კონსტიტუციის დარღვევის წინააღმდეგ. აგრეთვე ყალბია ცნობა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელსაც, ვითომც იუსტიციის მინისტრი სწერსო. გაზეთით გავრცელებულ ხმების მიხედვით არ შეიძლება ასეთი ბრალდება მთავრობისა. ჩვენ პასუხს ვაგებთ, მხოლოდ იმაში, რასაც ვაკეთებთ. საფრანგეთის რევოლუციიდან ჩვენ სახელმძღვანელოდ ვიყენებთ მხოლოდ მას, რაც ჩვენთვის სასარგებლოა. ჩვენ არ გვსურს იარაღის ძალით იდეების განხორციელება. რუსეთის რევოლუცია მემკვიდრეა საფრანგეთის რევოლუციისა მხოლოდ მიზანშეწონილით გადადგმულ ნაბიჯებისა. მარტოვმა მოითხოვა რა კონფერენციის მოწვევა, დასძინა: მოკავშირეებთ კითხვა გადაჭრით უნდა დავუსვათო. მაგრამ, ჩვენ თუ კითხვა გადაჭრით დავსვით, უეჭველია უარყოფითი პასუხს მივიღებთ და იძულებულნი ვიქმნებით პირისპირ შევხვდეთ სეპარატიულ ზავს. ჩვენ ამისი გვეშინიან. ამ შემთხვევაში მე ვეთანხმები ჰენრიხ ჰეინეს, რომელმაც სთქვა: არაფრისა მხოლოდ სულელს არ ეშინიანო.

ამით დასრულდა დღის სხდომა.

## რუსეთი.

პ. დ. ს.

### დეპეშები.

უწესოებ.

ყაზანი. 7 ივნისი. საპასსკის მაზრიდან მოდის ცნობები გლეხების მიერ ჩადენილ უწესოებათა შესახებ. ისინი ძალადობით იტაცებენ მემამულეთა მიწებს, საქონელს და სხვა.

საგუბერნიო კომისრის მიმართვა.

კიშინევი. 7 ივნისი. საგუბერნიო კომისარი ატყობინებს დროებითს მთავრობას, რომ გუბერნიაში ტყეების გაჩეხვა გახშირდა.

სასულიერო წოდებათა ყრილობა.

მოსკოვი. 8 ივნისი. სასულიერო წოდებათა ყრილობამ დაადგინა, ეკლესია სახელმწიფოს არ ჩამოშორდეს.

დატუსაღება.

კიშინევი. 4 ივნისი. დაატუსაღეს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ნებელიცკი, რომელსაც „ოხრანკაში“ სამსახური ბრალდება.

მიწის მესაკუთრეთა ყრილობა.

რიაზანი. 7 ივნისი. გაიხსნა ყრილობა მიწის მესაკუთრეებისა. ყრილობას დაესწრო 300 დელეგატი. გადასწყვიტეს შეუერთდენ სრულიად რუსეთის მიწის მესაკუთრეთა კავშირს და დაიარსონ საკუთარი გაზეთი.

დატუსაღება.

სევასტოპოლი. 7 ივნისი. უკანასკნელ დღეებში უნდობლობას უცხადებენ მრავალს ოფიცერს, რომელნიც, როგორც ხმები დადის ოცნებობენ ძველს რეჟიმზე. დაატუსაღეს ოფიცრები: რუბერი, კუზმინი, პლოტნიკოვი, და ესტეცკი. კრებამ გადასწყვიტა გადააყენონ ადმირალი კოლჩაკი.

სრულიად რუსეთის ებრაელ-მასწავლებელთა ყრილობა.

პეტროგრადი. 7 ივნისი. 11 ივნისს პეტროგრადში გაიხსება სრულიად რუსეთის ებრაელ მასწავლებელთა ყრილობა. ყრილობას აზრათ აქვს დააარსოს სრულიად რუსეთის ებრაელ მასწავლებელთა კავშირი.

## უცხოეთი.

პ. დ. ს.

### დეპეშები.

სოციალისტური ჯგუფის დეკლარაცია.

ბერნი. 7 ივნისი. ეროვნული საბჭოს სოციალისტურმა ჯგუფმა შეადგინა დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია, რომ გრიმმი მოქმედებადა და დამოუკიდებლად და თავისი პასუხის-მგებლობით. მას არავითარი წინასწარი მოლაპარაკება არ ჰქონია ჯგუფის წევრებთან, ამიტომ იგი ეროვნული საბჭოს სოციალისტერი ჯგუფის პასუხისგების გარეშე სდგასო.

სამხედრო მინისტრის განცხადება.

ნიუიორკი. 7 ივნისი. სამხედრო მინისტრმა განაცხადა: ამერიკამ უნდა უზრუნველჰყოს მოკავშირენი საჰაერო მანქანების გაუმჯობესებით მთავრობის სურვილია ფართოთ განავითაროს ფრენის საქმე.

გემის აფეთქება.

პარიზი. 7 ივნისი. ამერიკის გემის გარდა აფეთქდა ჯოჯოხეთური მანქანა და გააჩინა ცეცხლი.

პროტესტი.

პარიზი. 7 ივნისი. ჟენევიდან იტყობინებიან, რომ მრავალრიცხოვან მიტინგზე პროტესტი გამოაცხადეს გრიმმის ფარულ მოქმედების წინააღმდეგ. ბრბომ ქვებით ჩაამტვრია მინები. არ მიიღეს ავსტრიის ელჩებმი. გერმანელ პოლიციმეისტერს ცემეს.

## მსოფლიო ომი

პ. დ. ს.

### დეპეშები.

დასავლეთის ასპარეზი.

**ლონდონი.** ივნისის 7. ოფიციალი. მოხშილეპრეპრის აღმოსავლეთით ჩვენ ხელახლად დავიბრუნეთ მტრის მოწინავე სადარაჯოები. გასულ ღამით მტერი საშინლად უშენდა ჩვენს პოზიციებს. მდ. სუაბეს აღმოსავლეთით მტერმა სამჯერ მოიტანა კონტრიერიშები, ჩვენ მიერ წართმეულ პოზიციების დასაბრუნებლად. ყველა იერიში მოვიგერიეთ.

**ლონდონი.** ივნისის 8. ოფიციალი. მდ. სუბეს ჩრდილოეთით მტერმა ღამით მეოთხეჯერ მოიტანა იერიში ჩვენ პოზიციციების წინააღმდეგ. იერიში მოვიგერიეთ,

**პარიზი.** ივნისის 7. ოფიციალი: ძლიერი დაშენა გრძელდება ელეტტსა და ლაფფოს შუა მდებარე ადგილებში. გერმანელებმა ჩვენ თხრილებზე იერიშები მოიტანეს, თხრილებში ხდებოდა სასტიკი ბრძოლა გაილონის აღმოსავლეთით ბრძოლის პირველ ხაზზე. გერმანელების შემოტევა რუაისისფერმის აღმოსავლეთით უნაყოფო გამოდგა. იურტებიზის და შეფრის შუა მდებარე ადგილებში ვერდენის ფრონტით საარტილერიო ბრძოლა გრძელდება.

პეტრიჩის ჩრდილოეთით სტრუმისველით საარტილერიო მოქმედება გაძლიერდა. მონასტირის ჩრდილოეთით მდ. ცრის ახლო მტერი გავფანტეთ.

ჭავრი. ივნისის 7 ოფიციალი. დიკმიუდეს სამხრეთით მტერი მოულოდნელათ თავს დაესხა ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს მტერი გავფანტეთ. მოწინააღმდეგე ჩვენს თხრილებს ძლიერათ უშენდა.

დღისით საარტილერიო მოქმედება გაძლიერდა დიკსმიუდეს მიმართულებით.

კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ივნისის 8. ოფიციალი. ერზინჯანის სამხრეთით ქურთებმა შემოგვიტიეს და შეავიწროვეს ჩვენი ჯარის ნაწილები. ხელჩართული ბრძოლის დროს ქურთები ხიშტების შემწეობით უკუვაქციეთ.

**პეტროგრადი.** ივნისის 9. კალკიტის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარის ნაწილებმაც იერიში მიიტანეს ოსმალების პოზიციებზე მტერი ამოვჟლიტეთ. გაიქცა მცირე ნაწილი მტრისა. სერდებათის ჩრდილოეთით ქურთებთან ბრძოლის შემდეგ-წინ წავიწიეთ.

აღმოსავლეთის ასპარეზი,

**პეტროგრადი.** ივნისის 8. ოფიციალი. სროლა და მფრინავთა მოქმედება.

რუმინეთის ასპარეზი

**პეტროგრადი.** ივნისის 9. ოფიციალი სროლა და მფრინავთა მოქმედება.

იტალიის ასპარეზი.

**რომი.** ივნისის 7. აზიაგოს მთასთან ადგილებში მტერი დიდათ დავაზარალეთ. მტრის სიმაგრეებს დიდი ზიანი მივაყენეთ რამდენიმე ადგილას წინ წავიწიეთ. 52 დივიზიის ჯარმა გმირულად დაიკავა ორტიგარის მთის სიმაგრეები, წამოვიყვანეთ ტყვეები.

**რომი.** ივნისის 8. ოფიციალი. გუშინ საღამოთი ამპოცანოს მიდამოებში ჩვენ ავაფეთქეთ ნაღმი, რომელმაც მტრის პოზიციები დაანგრია. ჩვენ დავიკავეთ 2669 მაღლობი და გავმაგრდით.

ჯამიანოს სამხრეთ დასავლეთით იულის ალპების ფრონტზე მტრის იერიში მოვიგერიეთ.

მფრინავთა მოქმედებ.

**ლონდონი.** ივნისის 8. ოფიციალი. საჰაერო ბრძოლა ჩვენდა სასარგებლოთ გრძელდება, თუმცა ამინდი ხელს უშლის საჰაერო მოქმედებას. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოვაგდეთ გერმანელების ერთი აეროპლანის აპარატი. მეორეც ცეცხლის შემწეობით გავანადგურეთ:

ჩვენ დავკარგეთ ორი აეროპლანი.

**პარიზი.** ივნისის 7. ოფიციალი. ბრიტანეთის მფრინავებმა მტრის ბანაკში ყუმბარები ჩამოყარეს.

**პეტროგრადი.** ივნისის 8. ოფიციალი. მფრინავმა შტაბ-როტმისტრმა კაზაკოვმა ჩამოაგდო გერმანელების თვითმფრინავი, რომელიც დაეცა პოდგაიცის მიდამოებში. წამოვიყვანეთ ტყვე მფრინავები.

**პეტროგრადი.** ივნისის 9. ოფიციალი საჰაერო ბრძოლიდან დაბრუნებული ჩვენი სახელოვანი მფრინავი კაპიტანი კრუტენი სასიკვდილოთ დაშავდა ძირს ჩამოვარდნის დროს. საჰაერო ბრძოლის დროს კრუტენმა ძირს ჩამოაგდო გერმანელების 6 თვითმფრინავი.

## მოწერილი ამბები.

**სოფ. კორბოული** (ზემო იმერეთი) ჩვენსკენ კარგა ხანია, რაც გაზაფხულის თესვა გათავდა, და ახლა გაცხარებული სიმინდის ყანების წმენდა მარგლა სწარმოებს. შარშანდელთან შედარებით, წრეულს მეტი ყანებია დათესილი, რაიცა უნდა მიეწეროს ერთი მხრით იმასაც, რომ ქვრივ-ობოლთა, თუ ჯარისკაცთა ოჯახებს იმათ ნათესავ-მოკეთეები დიდათ შველოდენ ადგილების დამუშავებაში, სიმინდი მშვენივრათ ამოვიდა და საცაა პირველი თოხნა უკვე გათავდება, სიმინდის ყანებს მშვენიერი პირი უჩანს, რასაც ხელს უწყობს ხშირი წვიმებიც (ზემო იმერეთში გვალვა საზოგადოთ სწყენს.) პურის ჯეჯილის მომავალს ხომ მეტად სანუგეშო პირი უჩანს, ამ 30—35 წლის განმამავლობაში პურის სასიკეთო მომავალი ჯერ არავის ახსოვს, იმედს იძლევა. რომ წელს ნაადრევათ შემოვა: ალაგ-ალაგ თაველმა შეფერებაც იწყო. სხვა წვრილი თესლის ჯერ-ჯერობით იმედებს იძლევა, რაიცა ხალხს მეტად ახარებს. და განა არ ეპირვება ჩვენს ხალხს. რომ 2—3 წლის ზედიზედ მოყოლებული შიმშილობით მოყენებულ გაჭირვებიდგან ახლა მაინც გამოვიდეს!

სამაგიეროთ წელს დიდათ შეაწუხა ხალხი ათასნაირ მოარულ-ავადყოფობამ. ზემო იმერეთში თითქმის არ დარჩენილა არც ერთი საზოგადოება და სოფელი სადაც არ მძვინვარებდა სახადი, ყვავილი, ყელჭირვება, წითელა და სხვა ამისთანეები. და ბევრგან დიდი ნავნებიც ქნა მაგალითად სოფ კორბოულიც ერთ უბანში სახადით თუ სხვა მოარულით 15-18 სული მოკლა და ვინც გადარჩა, ძვალზედ და კანზედ დასტოვა, რასაც ერთი მოხრით იმანაც შეუწყო ხელი, რომ დროზედ, ვისგანაც ჯერ არს საჭირო ზომები არ იყო მიღებული!... სოფ. მოძვში 2—3 მოსახლე პირწმინდათ მოსპო სხვა საზოგაოოებებში ხომ მსხვერპლთა რიცხვი უამრავია. სახადი გავრცელდა აზრუმ-ტრაპეზონ-ტუაფსედგან დაბრუნებულ მუშათაგან, მაგრამ ამ ბოლო დროს ავადმყოფობამ შესამჩნევათ იკლო.

მღვდ. **ვლადიმერ მაჭარაშვილი**

## ბაქა-ფშაველას

სახელობის ბიბლიოთეკის მზრუნველი კომიტეტის მოქმედების წლიური ანგარიში და მისი გარშემო ატეხილ უთანხმოების შესახებ ჭეშმარიტების აღდგენა.

(დასასრული, იხ. ჩვ. ქვ. № 50).

რადიუმში 13 მაისს შეკრებილ ფულის ჩასაბარებლად, სერგეევის წინადადებით, მიქაბერიძე მოლარითურთ მეორე დღესვე უნდა მისულიყვნენ პოლიციაში, მაგრამ მოლარემ არც საკვიტანციო წიგნი ანდო და არც პოლიციაში წაყვა მას. სერგეევი კი ეუბნებოდა მიქაბერიძეს: „თუ მალე წიგნს არ მოიტანთ, 450 მ. გუბერნატორის დეპოზიტში შევიტან, საიდანაც ფულების გამოტანა გაგიჭირდებათო“. კომიტეტის ძალდატანებით მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მიიღო მოლარემ ეს ფული.

დიდი უმრავლესობა კვიტანციებისა ურიცხვოა: ყველაფრიდანა სჩანს, რომ მათი უმრავლესობა წლის ბოლოსაა დაწერილი, განსაკუთრებით კი იმ კვირაში, როდესაც მოლარე პოლიციაში წასვლაზე დაჟინებით უარს ამბობდა. ბევრი ფული წიგნში ჩაუწერელი აღმოჩნდა და რევიზიის დროს შევიტანეთ მასში. 1916 წლის ნახარჯი ფული ნაჩვენებია 1915 წლის შემოსავლის პირდაპირ და სხვ.

ნინო მდივნისა, პ. კოსტავასი და კ. ჩხეიძის ფულის საკრები ფურცელი იმდენად აწეწილ-დაწეწილი აღმოჩნდა, რომ სექციამ მთელი სხდომა მოანდომა, მაგრამ ასავალ-დასავალი ვერ გაუგო და ისე გადასდო, დღესაც არავინ იცის ამ ფურცლით შემოსულ ფულის რაოდენობა.

დანარჩენ საკითხების გამოსარკვევად, მიქაბერიძის თხოვნით, სექციამ მთელი კომიტეტი მოიწვია. მოვიდნენ ყველანი, გარდა დეკ. შანიძისა. უკმაყოფილო წევრნი ეკვეთნენ მიქაბერიძეს. მათ ცილის წამებას ბოლო არ უჩანდა. მიქაბერიძე სექციამ არ ალაპარაკა, რადგანაც თვითონაც კარგად იცოდა, რაში იყო საქმე. ილაპარაკეს სიმართლის მოსარჩლე წევრებმაც: ფერაძემ, შუბლაძემ, მარჯანიშვილმა. ფერაძემ, უწოდა რა მიქაბერიძის მოწინააღმდეგეთ ცილის მწამებელნი, დაუმატა: „სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ“ რომ მიქაბერიძემ იმდენი გააკეთა, რამდენიც ყველა დანარჩენებს არ გაგვიკეთებიაო: ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ირბენდა იმდენს, რამდენიც მიქაბერიძემ ირბინაო; ფრიკმა ხომ მაგის სიცოცხლე დაანელაო“.

თუ ვინ მოიწვია ბახტაძის თავმჯდომარეობით მომხდარი პირველი „მგლური“ კრება, რომელმაც მიქაბერიძის მაგივრად კომიტეტის გარეშე მყოფი მოლარის ძმა აირჩია, სექციას გამოურკვეველი დაურჩა: ამას მომავალი აგვიხსნის. შანიძის ამომრჩევი „მგლური“ კრების მომწვევი კი ნაცრიშვილი, აღმოჩნდა. ამ კრებაზე დამსწრე წევრებმა განაცხადეს, რომ შანიძემ გვითხრა: „მიქაბერიძემ დამაბარა, ვინც გინდათ, აირჩიეთ, მე თანახმა ვიქნებიო“. მიქაბერიძემ ამ საკითხის შანიძესთან პირის-პირ წაყენებით გამორკვევა მოითხოვა. შემდეგ სხდომაზე გიორგაძე შეეკითხა შანიძეს: „მიქაბერიძემ კრების გადასაცემად მართლა დაგაბარათ, ვინც გინდათ, აირჩიეთ, მე თანახმა ვიქნებიო“? „სწორედ მოგახსენოთ, ეს მაგას ჩემთვის არ დაუბარებიაო“, უპასუხა შანიძემ, და რევიზიაც დასრულდა.

სექციამ თავისი მოხსენება წარუდგინა გამგეობას, რომელმაც „1916 წ. 14 ოქტომბრის სხდომაზე დაადგინა: კომიტეტის თავმჯდომარის ა. მიქაბერიძის მოქმედება კანონიერად და წესიერად უნდა ჩაითვალოს; ახალი თავმჯდომარის არჩევნები, კომიტეტის მიერ მოხდენილი, უნდა ჩაითვალოს უკანონოდ. ამისათვის ეთხოვოს საბიბლიოთეკო სექციას მოახდინოს კომიტეტის კრება ახალი თავმჯდომარის ასარჩევად ნაცვლად მიქაბერიძისა, რომელიც თავმჯდომარეობაზე უარს აცხადებს“ (ასლი 58).

31 ოქტომბერს მოხდა კომიტეტისა და სექციის შეერთებული კრება, რომელიც გახსნა ბ. გიორგაძემ გამგეობის ზემო აღნიშნულ ოქმების კითხვით. შემდეგ კრება გაგრძელდა მიქაბერიძის თავმჯდომარეობით, რომელმაც განაცხადა, რომ ის ეხლა თავს ანებებს არა მარტო კომიტეტის თავმჯდომარეობას, არამედ მის წევრობასაც, და წინადადება მისცა კომიტეტის წევრთ აერჩიათ ახალი თავმჯდომარე. ამის გაგონებაზე ერთხმად უარი განაცხადეს კომიტეტის წევრობაზე მამაშუბლაძემ, თ. ფერაძემ და კომიტეტის მდივანმა ს. მარჯანიშვილმა. იმ დღესვე წევრობაზე უარი განაცხადა ი. ქიქავამაც. ნაცრიშვილის აზრით, მამა ცაგარეიშვილი და მ. ბოკერია აღარ უნდა ირიცხებოდენ წევრებად. თვით ნაცრიშვილმა უზომო სიმთვრალის გამო ვერ შესძლო არჩევნებში მონაწილეობის მიღება. დანარჩენმა ცხრა წევრმა თავმჯდომარედ აირჩია დეკ. შანიძე, რომელსაც მიქაბერიძემ მეორე დღესვე გიორგაძის თანადასწრებით ბიბლიოთეკის საქმეები ჩააბარა.

არჩევნების დროს მოხდა შემდეგი სამარცხვინო ამბავი. კარების მტვრევითა და გამაყრუებელის ღრიალით, საბჭოს დარბაზში ბანცალით შემოიჭრა ხანში შესული მასწავლებელი ნაცრიშვილი. მიბანცალდა რა მამა შუბლაძესთან, შეჰყვირა მას ქუდი დაეხურა და გარედ მიბრძანებულიყო. მერე, მიმართა რა რაღაც საყვედურებით ბ. გიორგაძეს, უმიზეზოდ შეურაცხყო მიქაბერიძე და იმავე ხმაურობით გაბანცალდა დარბაზიდან. მიქაბერიძემ და გიორგაძემ არ იკადრეს პასუხის გაცემა. ამ დროს ვ. თევდორაძე და ქ. ვარდოსანიძე მუქარით შემოესივნენ მამა შუბლაძეს, და მონასტრის არევამ კულმი ნაციურ წერტილს მიაღწია. აქ, საბედნიეროდ, ოქმის წერაც დამთავრდა, და ჩვენც ელვისებური სიჩქარით მოვკურცხლეთ დარბაზიდან.

მოსალოდნელი იყო, ნაცრიშვილი რევიზიის შემდეგ მაინც დაუყონებლივ დააარსებდა ბიბლიოთეკას და მით მცხოვრებთა ჟურნალ-გაზეთების კითხვის წყურვილს დააკმაყოფილებდა, მაგრამ მისი ჯიუტობით უნაყოფოდ დაკარგულ 4 თვეს 4 თვეც ზედ მიაყოლა და მხოლოდ მიმდინარე წლის პირველ მარტს გახსნა ბიბლიოთეკა ძვირად დაქირავებულ ოთახში. [illegible] ქირაში დაიხარჯება, და საკუთარ შენობას ბიბლიოთეკა, [illegible] ეღირსოს. მიქაბერიძის მიზანი კი ბიბლიოთეკის დროებით იაფ ფასიან ოთახში მოთავსება, ენერგიულად ფულების კრების გაგრძელება და ახლო მომავალში საკუთარ შენობის აგება იყო.

ეხლა, შესაძლებელია, საზოგადოებას მიქაბერიძის შრომით შეძენილი ადგილიც ჩამოერთვას, რადგანაც გუშინწინ გაკეთებულ შვიდ თუმნიან საკავებელი ნატამალიც აღარსად მოიძებნება, - ას მანეთამდე ღირებული მოზელილი კირი და ქვა ქარსა და ბოროტგამზრახველთ მიაქვთ თუმცაღა კომიტეტის ზოგიერთ წევრთა სახლ-კარი არა უმეტეს 40-50 საჟენით არის დაშორებული ხსენებულ ადგილიდან. მიქაბერიძეს უნდოდა მოზელილი სილა და კირი მაინც თავის დროზე გაყიდულიყო და ფული ფულს მიმატებოდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, თუმცაღა მან კომიტეტს მოიარებით მყიდველიც კი გაუგზავნა.

ზღაპრად გამიგონია, რომ ერთ მოლლას ხაზინის ხარჯით ნაყიდ გაზეთებში კვერცხებისა და ნიგოზის აღება სოფლელ მოწაფეებიდან საზოგადო მოღვაწეობად ჩაუთვალეს და მისი სურათი გაზეთების ფურცლებზე გამოჭიმეს. სურათის დანახვაზე „საზოგადო მოღვაწე“ სიამოვნებით დნებოდა, თვით საზოგადოება-კი სირცხვილით კვდებოდა.

დარწმუნებული ვარ, თუ თავის დროზე ამ მოლლის საქციელიც-კი იყო გაკიცხული, ჩვენ დროში საზოგადოება მისი კუთვნილებისადმი ზემოხსენებულისებურ მოპყრობას ხომ პირდაპირ აგდება-დაცინვად მიიღებს, და ფრთხილად, მოქალაქენო, თორემ ახალი დრო ვერ მოითმენს ამგვარ დაცინვას, და ჩემი ბრალი არ იქნეს.

მზრუნველი კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ა. მიქაბერიძე.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**


## ექიმები:

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ახათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

ქ. ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლის კარებთან ჰეიშვილის სახლში

## მ. კ. შია

არჩენს თვალების სნეულებათ (თეთრ გადაკრულს უოპერაციოთ)


## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | საღამოს | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. | — |
| „ | ღამის | —11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | - საღამოს | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გ. კიალოვის სახლი, ქუთაისში